



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

25 მარტი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №78

**თეიმურაზ ჩხატარაიშვილთან შრომითი ხელშეკრულების
გაფორმების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის, „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ივლისის №2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც შტატგარეშე მოსამსახურე აყვანილ იქნეს თეიმურაზ ჩხატარაიშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში ექსპერტ-კონსულტანტის თანამდებობაზე 2013 წლის 1 აპრილიდან.

2. ბრძანებას თან ერთვის თეიმურაზ ჩხატარაიშვილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალეკო მამეშვილი

შრომითი ხელშეკრულება

ქ. ოზურგეთი

25 მარტი 2013 წელი

ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ ალექო მამეშვილის სახით (შემდგომში „დამქირავებელი“) და მეორეს მხრივ თეიმურაზ ჩხატარაიშვილი მცხოვრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში (პირადი №33001017723) შემდგომში „დაქირავებული“ ვდებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„დამქირავებელი“ (მუნიციპალიტეტის საკრებულო) დებს შრომით ხელშეკრულებას თეიმურაზ ჩხატარაიშვილთან, რათა იგი აყვანილ იქნას შტატგარეშე მოსამსახურედ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში ექსპერტ-კონსულტანტის თანამდებობაზე 2013 წლის 1 აპრილიდან.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა

- 2.1. „დამქირავებელი“ ვალდებულია დაასაქმოს „დაქირავებული“ იმ სამუშაოთი, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.
- 2.2. შეუქმნას „დაქირავებულს“ სათანადო პირობები და უზრუნველყოს მისი ტექნიკური უსაფრთხოება.
- 2.3. „დამქირავებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „დაქირავებულს“ შინაგანაწესისა და შრომის დისციპლინის დაცვა.
- 2.4. „დაქირავებული“ ვალდებულია ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოადგინოს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჭირო დოკუმენტაცია.
- 2.5. „დაქირავებული“ ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სამუშაოზე, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა და დაიცვას შინაგანაწესი.
- 2.6. „დაქირავებული“ ვალდებულია შეასრულოს ადმინისტრაციის მოთხოვნები და ბრძანებები.
- 2.7. „დაქირავებულს“ უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში და პირობებში მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება.
- 2.8. ისარგებლოს შესვენებით სამუშაო დღის განმავლობაში. დასვენებითა და უქმე დღეებით, ამასთანავე ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. ანაზღაურების ოდენობა და ვადები

„დაქირავებულს“ ყოველთვიურად მიეცემა 420 ლარი ხელფასის სახით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 4.1. ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისამდე,
- 4.2. ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაშვებია შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 4.3. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4.4. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 5. დამატებითი პირობები

„დაქირავებულ“ პირს არა აქვს უფლება საჯარო გახადოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ზეგავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაზე და იმიჯზე.

მუხლი 6. მხარეთა რეკვიზიტები

„დამქირავებელი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო,
კოსტავას ქუჩა №1,

„დაქირავებული“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
სოფ.შემოქმედში მცხ.
თეიმურაზ ჩხატარაიშვილი

მუხლი 7. ხელმოწერები

მხარეები ხელშეკრულებას ადასტურებენ ხელმოწერით და შედგენილია ორ ეგზემპლარად თითო ცალი მხარეთათვის.

„დამქირავებელი“

(ხელწერა)

ალეკო მამეშვილი

„დაქირავებული“

(ხელწერა)

თეიმურაზ ჩხატარაიშვილი